საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა საქართველოში

2019

IV კვარტალი

14.02.2020

www.geostat.ge

14.02.2020

უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა

(IV კვარტალი, 2019 წელი)

2019 წლის IV კვარტალში საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების[1] 2.1 მილიონი შემოსვლა, რაც 12.1 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. შემოსვლების უდიდესი ნაწილი, 47.5 პროცენტი, განხორციელდა 31-50 წლის მოგზაურების მიერ.

დიაგრამა №1

2018-2019 წლების IV კვარტალებში საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების შემოსვლების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



აღნიშნული რაოდენობიდან საერთაშორისო ვიზიტორების[2] მიერ განხორციელებული ვიზიტების[3] რაოდენობამ 1.7 მილიონი შეადგინა, რაც 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 12.0 პროცენტით არის გაზრდილი.

[1]ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის თანახმად, **მოგზაური** არის ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით.

[2]**ვიზიტორი** არის 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით (გარდა შემდეგი კატეგორიებისა: დასაქმების მიზნით ჩამოსულები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური ან საკონსულო ოფიცრები, შეიარაღებული ძალების წევრები ან მათ კმაყოფაზე მყოფი პირები, აგრეთვე პირები, რომლებიც ხშირად კვეთენ საზღვარს).

[3]**ვიზიტი** არის ვიზიტორების გადაადგილება.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 2018-2019 წლების IV კვარტალებში საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების შემოსვლებისა და საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობას.

დიაგრამა №2

2018-2019 წლების IV კვარტალებში საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების შემოსვლებისა და საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა



2019 წლის IV კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 1.3 მილიონს მიაღწია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 8.8 პროცენტით არის გაზრდილი.

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელდა 1.1 მილიონი ტურისტული ტიპის ვიზიტი, რაც 10.7 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას ვიზიტის ტიპის მიხედვით.

2018-2019 წლების IV კვარტალებში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტის ტიპის მიხედვით



საერთაშორისო ვიზიტორების 62.2 პროცენტი მხოლოდ ტურისტები[4] იყვნენ. მხოლოდ ექსკურსანტების[5] წილმა 30.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო ვიზიტორების 7.8 პროცენტი იყო როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი.

(ცხრილი №1)

2018-2019 წლების IV კვარტალებში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების რაოდენობის განაწილება ვიზიტორის ტიპის მიხედვით, ათასი

	IV კვარტალი, 2018 წელი	IV კვარტალი, 2019 წელი
მხოლოდ ტურისტი	774.9	816.7
მხოლოდ ექსკურსანტი	354.0	392.9
როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი	76.8	101.7
სულ	**1 205.7**	**1 311.3**

2019 წლის IV კვარტალში ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობა, 260.0 ათასი ვიზიტორი, დაფიქსირდა აზერბაიჯანიდან, რაც მთლიანი ვიზიტორების 19.8 პროცენტს შეადგენს და წარმოადგენს 8.2 პროცენტიან ზრდას 2018 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.

ვიზიტების ყველაზე დიდი რაოდენობა (371.9 ათასი) სომხეთის მოქალაქეების მიერ განხორციელდა, რაც 18.9 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

[4]**ტურისტი** არის ვიზიტორი, რომელმაც ღამე გაათენა საქართველოს ტერიტორიაზე.
[5]**ექსკურსანტი** არის ვიზიტორი, რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე.

14.02.2020

დიაგრამა №4

2018-2019 წლების IV კვარტალებში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტორების მოქალაქეობის ქვეყნის მიხედვით



*იგულისხმება საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც სხვა ქვეყნის რეზიდენტები არიან.

ვიზიტორების უმრავლესობა, 47.2 პროცენტი, მიეკუთვნებოდა 31-50 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას. ქალების რაოდენობა მთლიანი ვიზიტორების 33.9 პროცენტს შეადგენდა.

დიაგრამა №5

2019 წლის IV კვარტალში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, %



(ცხრილი №2)

2019 წლის IV კვარტალში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების განაწილება სქესის მიხედვით, ათასი

	რაოდენობა	%
კაცი	867.1	66.1
ქალი	444.2	33.9
სულ	**1 311.3**	**100.0**

2019 წლის IV კვარტალში ყველაზე მეტი ვიზიტი, 31.2 პროცენტი, განხორციელდა დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზნით.

(ცხრილი №3)

2019 წლის IV კვარტალში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით, ათასი

	რაოდენობა	%
დასვენება, გართობა, რეკრეაცია	544.3	31.2
მეგობრების/ნათესავების მონახულება	409.3	23.5
ტრანზიტი სხვა ქვეყანაში გადასასვლელად	310.9	17.8
პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა	258.5	14.8
შოპინგი	146.7	8.4
მკურნალობა, გაჯანსაღება	25.3	1.5
სხვა	48.0	2.8
სულ	**1 743.0**	**100.0**

ვიზიტების უმრავლესობა განხორციელდა თბილისსა და აჭარაში, შესაბამისად, 965.3 ათასი და 371.7 ათასი ვიზიტი. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ვიზიტების რაოდენობის პროცენტულ განაწილებას მონახულებული რეგიონების მიხედვით.

14.02.2020

დიაგრამა №6

2019 წლის IV კვარტალში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით, %



2019 წლის IV კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გათეული ღამეების საშუალო რაოდენობამ 3.5 ღამე შეადგინა, რაც 2018 წლის IV კვარტალში დაფიქსირებულ მაჩვენებელზე (3.6 ღამე) 3.0 პროცენტით ნაკლებია.

განხორციელებული ვიზიტების 80.5 პროცენტი წარმოადგენდა განმეორებითი ხასიათის ვიზიტს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 2019 წლის IV კვარტალში საქართველოში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის პროცენტულ განაწილებას კმაყოფილების დონის მიხედვით.

14.02.2020

დიაგრამა №7

2019 წლის IV კვარტალში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება კმაყოფილების დონის მიხედვით, %



2019 წლის IV კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული ხარჯები 1.7 მილიარდ ლარს გაუტოლდა, რაც 13.9 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ვიზიტზე საშუალო ხარჯი 2018 წლის IV კვარტალთან შედარებით 1.7 პროცენტით გაიზარდა და 963.7 ლარი შეადგინა.

14.02.2020

(ცხრილი №4)

2019 წლის IV კვარტალში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ გაწეული ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით

	ხარჯი (მლნ. ლარი)	%	საშუალო ხარჯი ვიზიტზე (ლარი)
საყიდლები	436.5	26.0	250.4
საკვები და სასმელი	435.5	25.9	249.9
განთავსება	324.7	19.3	186.3
გართობა	284.8	17.0	163.4
ადგილობრივი ტრანსპორტი	143.6	8.5	82.4
სხვა ხარჯი	54.6	3.3	31.3
სულ ხარჯი	**1 679.7**	**100.0**	**963.7**

საკონტაქტო პირები:
თინათინ ქსოვრელი, ტელ: 2 36 72 10 (217), E-mail: tksovreli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge